სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის-მაღაზიას.
...-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
...ის-პირ მოლაპარაკება რედაქ...ორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## ქართული თეატრი

კვირას, 29 ნოემბერს

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან ქ-ნ **მესხის** და ბ-ნ **ყიფიანის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

დრამა 5 მოქმ. თავ. დ. ერისთავისა

მოთამაშენი: ქ.ქ. მესხი, ჩერქეზიშვილისა, გარელი; ბ.ბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, იმერიძე, იმედაშვილი, ხოსროევი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი**

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს, დანიშნულია ქ-ნ კარგარეთელის ბენეფისი

**ადგილების ფასი დაქლებულია**—ლოჟები ლიტერისა 9 მან., ბენუარისა 6 მან., პირდაპირი 4 მ. 50 კ., გვერდისა 3 მ. 50 კ. ამფიტეატრი 50 კ. პარტერი: სკამი 1 რიგისა 3 მ.; 2 და 3 რიგისა 2 მ.- 4 და 5—1 მ. 50 კ.; 6, 7, 8 და 9—1 მ. 20 კ.; 10, 11 და 12—1 მ.; 13 და 14—80 კ.;—15 და 16—60 კ. გალერეა: პირდაპირი I რიგ. 40 კ., დანარჩენი 35 კ. გვერდისა I რიგ. 35 კ. დანარჩენი 25 კ.

იბეჭდება და მალე გამოვა

## მიო არაგვისპირელის მოთხრობები

მგზავრთა საყურადღებოდ

პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 7 ნოემბრიდან ბათომის სასტუმრო

„ლონდონი“

ჩვენს ხელში გადმოვიდა. ეს ფირმა ბათომში ძველის ძველია და ჯეროვნად აქვს დამსახურებული საზოგადოების ყურადღება. ჩვენც განსაკუთრებით ვეცდებით საზოგადოების გული მოვიგოთ. აქამდე თუ რამ ნაკლი ჰქონდა ამ სასტუმროს, იმედი გვაქვს, მომავალში თავიდან ავაშოროთ.

პატივისცემით დავშთები სასტუმროს პატრონი

ბათომი. **ალექსანდრე თოიძე**

...ირას, 29 ნოემბრისთვის, საღამოს 6 საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## საგანგებო კრება

ქართველთა სააღებ-მიმცემო ამხანაგობის

## „მუშაკავშირის“

კრება უსათუოდ შესდგება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრება მას წილის პატრონი.

კრებამ უნდა აღმოირჩიოს: 1) თავმჯდომარე კანტროლისა თანხმად წარსული წლიური კრების დადგენილებისა და 2) ფირმის წარმომადგენელი, რომელიც თავს ანებებს 1899 წლიდან.

გარდა ამისა კრებას წარედგინება განსახილველად ზოგიერთი შინაური საქმეებიც.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (6—4)

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთა ამხანაგობა

## „კავშირი“

იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.

ეტლთა მიმოსვლა არის შეერთებული მატარებლის მიმოსვლასთან.

სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.

ფასი დაწესებულია ერთი მანეთი

ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომასიძე (15 - 8)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (Б.)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. **თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს შ. ქ. **მერაბიშ**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი**.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. **გაფრინდაშ**...

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. **მარშანია**.

ამბულატორია ი არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და სხვისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.*

## ახალი ამბავი

*** **სამრევლო სკოლის საქმე ნაძალადევში.** ამ თვის 22-ს, კვირას, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, „ნაძალადევის“ სამრევლო სკოლაში შეიკრიბა იქაური საზოგადოება, რომელსაც ბლაღოჩინმა მ. ს. შოშიაშვილმა გამოუცხადა საქართველოს ეგზარხოსის ყოვლადუსამღვდელოესის ფლავიანეს ლოცვა-კურთხევა და ნების დართვა, რომ ამ ხანად ააშენონ სამრევლო სკოლა სამლოცველოთი. მოსმენის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ იმავე კრებაზე განიწერა თვის შორის ორმოც თუმნამდე შეკრება.

*** **სკოლა-სამლოცველო ნაძალადევში.** საქართველოს ეგზარხოსმა ნება დართო კომიტეტი შესდგეს „ნაძალადევში“ სკოლა-სამლოცველოს აშენებისათვის მ. ი. გურგენიძის თავმჯდომარეობით და წევრნი: მ. გარსიევი, გრ. ჩარკვიანი და ად. ადამიძე,

*** **ადგილ-მამულების მოწყობა კავკასიაში.** სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტმა 22 ნოემბერს განიხილა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინადადება იმ კრედიტის დამტკიცების შესახებ, რომელიც საჭიროა კავკასიაში ადგილ-მამულების მოსაწყობად, სამინისტრო ამ საგნისათვის თხოულობს 13,900 მანეთს.

*** **ახალციხის საქმეები.** ახალციხის მაზრის უფროსმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, განკარგულება მოახდინეთ, რომ პოლიციის მიერ სახლის პატრონთა წინააღმდეგ სისუფთავის დაუცველობის გამო აღძრული საქმეები გაარჩიოს ახალციხის მომრიგებელმა მოსამართლემ რაც შეიძლება საჩქაროდ, სანამ ამ საქმეებს რიგი მოუწევდესო.

გარდა ამისა ახალციხის მაზრის უფროსმა აღძრა საქმე იმის შესახებ, რომ გადატანილ იქმნეს ქალაქის განაპირა ადგილებში ტყავისა, საპნისა და სხვა სახელოსნო დაწესებულებანი, რომლებიც ამ ... ქ... ის შუაგულ იმყოფებიან, ... ამ დაწესებულებათა არსებობა შუაგულ ქალა...

ქში ცუდ გავლენას იქონიებს მცხოვრებთა ჯანმრთელობაზეო.

*** რკინის გზის საქმე.** 19 ნოემბერს რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტთან არსებულმა კომისიამ განიხილა კითხვა იმის შესახებ, რომ გაყვანილ იქმნეს რკინის გზა შავი ზღვის ნაპირზე ტუაპსედან სოხუმამდე და შეუერთდეს ეს გზა რუსეთის რკინის გზებს ეკატერინოდარიდან, ან სხვა რომელიმე მახლობელ სადგურიდან.

*** შორაპნის შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭომ** სთხოვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს, იმ სხდომებზე, რომლებსაც მართავთ შავი ქვის მრეწველობის შესახებ, მიიწვიეთ ხოლმე ამ მრეწველობის წარმომადგენელთაგანიო.

*** ცხენის რკინის გზის საქმე.** გუშინ, 25 ნოემბერს, ცხენის რკინის გზათა დირექტორი ბ-ნი რობი მიიწვია ქალაქის გამგეობამ ხელ-შეკრულობის შესახებ მოსალაპარაკებლად. ბ-ნმა რობიმ განაცხადა, თანახმა ვარ მივიღო უკვე შესწორებული ხელ-შეკრულობაო. გუშინვე ქალაქის გამგეობამ ეს ხელ-შეკრულობა გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს კავკასიის მთავარ-მართებელთან წარსადგენად.

*** საქონლის ჭირი ახალციხის მაზრაში.** ახალციხის მაზრის სოფ. ასპინძასა და ციხანში საქონელს ჭირი გაჩენია. ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით გაგზავნილ იქმნა იქ ბეითალი ტოლოკონევი. ხოლო მთელის მაზრის თვალ-ყურის ჭერა მიენდო ბეითალს ტიმოფეევს. დახოცილ საქონელთა პატრონების დასაჯილდოვებლად გადადებულ იქმნა 1000 მანეთი. განსაკუთრებით საშიშოა სოფელი ციხანი, რომელიც აბასთუმნის მახლობლად მდებარეობს. ამ სოფლიდგან დიდი გზა მიდის ქუთაისში და ამ გზით საქონელს მიერეკებიან ხოლმე.

*** ყაჩაღის მოკვლა.** როგორც ბათომიდან იუწყებიან, გონიოს პოლიციის ნაწილში მოუკლავთ გაქცეული დამნაშავე შემ-ოღლი, რომელიც დიდხანს ემალებოდა ადმინისტრაციას. ყაჩაღი ამ სახით დაუჭერიათ. პოლიციის ნაწილის უფროსს ლეონიძეს აცნობეს, შემ-ოღლი მეჭახელის ხეობაში არის დამალულიო. უფრო[სმა] გულ-მოდგინედ გაჩხრეკა [...] სახლები ამ ხეობაში და [...] კიდეც ნახა ყაჩაღი. ა[...]ვე მხრიდან თოფების სროლა, შემ-ოღლის [...]ენიმე ტყვია მოხვდა და იქვე მოჰკლა, ხოლო ერთი მილიციის ჯარის-კაცი, რომელიც ლიონიძეს ახლდა, მძიმედ დაიჭრა.

*** გემის დაღუპვის საქმე.** რუსეთის დამზღვევ და საქონლის გადამზიდველ საზოგადოების ინსპექტორი ა. ა. კრიჟანოვსკი გუშინწინ ბათომში გაემგზავრა ამ საზოგადოების გემის „პეტრეს" და გემის „ეკატერინას" ერთმანერთზე დაჯახების გამოსაძიებლად.

*** ინსპექტორის თანამდებობის მსურველნი.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რჩევას საზოგადო კრებაში შეიტანა კითხვა ახალი საბაღოსნო სკოლის ინსპექტორის ამორჩევის შესახებ და მასთანვე სთხოვა უმთავრეს მიწად-მოქმედ დეპარტამენტს ცნობები იმ კანდიდატების შესახებ, რომლებმაც სურვილი განაცხადეს ინსპექტორის თანამდებობაზე, ეს თანამდებობა ნათხოვნი აქვს 20 კაცს.

*** ნიხრის დაწესება.** რადგანაც დღემდის გადაჭრილი ნიხრი არ იყო ხარისა და კამეჩის ხორცზე, ქალაქის საბჭომ დაახოცინა სანიმუშოდ რამოდენიმე სული ღორი და კამეჩი, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ ღორის ხორცი ჯდება 7 კაპ. და კამეჩისა $4^1/_2$ კაპ. ამ მოსაზრებით ყასბებს გაუნიხრა ღორის ხორცი $7^1/_2$ კ. და კამეჩისა 5 კაპ.

*** იოსებ კანდელაკიშვილის მოკვლა.** 22 ნოემბერს, გორის რკინის გზის სადგურის ახლობლად იოსებ ალექსანდრეს ძე ჯავროვმა სასიკვდილოთ დასჭრა რევოლვერით ტელეგრაფში მოსამსახურე იოსებ კანდელაკიშვილი. გორიდან ექიმების რჩევით დაჭრილი ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს, სადაც უბედური კანდელაკიშვილი 24 ნოემბერს გარდაიცვალა. კანდელაკიშვილი სულ 35 წლისა იყო. საწყალს ცოლი და სამი პატარა შვილი დარჩა სრულიად უსახსრონი. კანდელაკიშვილის მოკვლის შესახებ ორი აზრი დადის: ზოგნი ამბობენ, რომ რევოლვერს შინჯავდა, უცებ გაუვარდა და მოიხვედრაო, ზოგნი კი ამტკიცებენ, რომ ქეიფის დროს ლაპარაკი მოუვიდათ ჯავროვსა და კანდელაკიშვილს, ჯავროვმა რევოლვერი ესროლა და მოკლაო.

*** შავი ქვის გადასაზიდი ქირის შემცირების საქმე.** შორაპნის შავი ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შავი ქვის გადასაზიდი ქირა შემცირებულ იქნეს 6 პროცენტით, არ შეიწყნარა ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველო[მ].

*** დოლაბები შორაპნის სადგურზე.** ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით, ამ ჟამად აკეთებენ დოლაბებს იმ მიზნით, რომ შორაპნის სადგურზე პირდაპირ შეიძლებოდეს შავი ქვის გადაცემა ვიწრო ლიანდაგიან გზიდან უმთავრეს გზაზე. ამ დოლაბების შემწეობით შავ ქვას შესამჩნევად ასცდება დაფხვნა და დაშლა-დანაწილება.

*** ავადმყოფობა ტფილისში.** 25 ნოემბერს, ტფილისში აღმოაჩინეს 13 ყვავილით ავადმყოფი, 1 ხუნაგით და ერთიც ყელ-ჭირვებიანი.

*** ქალაქის სასაფლაოს უსუფთაობა.** მთავარ მართებლის მიერ ქალაქის დასათვალიერებლად დანიშნულმა სასანიტარო კომისიამ, სხვათა შორის, დაათვალიერა ქალაქის სასაფლაო და, როგორც ისმის, აღმოაჩინა იქ დიდი სიბინძურე.

*** 180 მანეთის ნახვა.** პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულმა ზაზულევიჩმა 23 ნოემბერს, მარტიროსოვის მკვლელის ბინაზე, კათოლიკეთა ქუჩაზე, ნახა 180 მ. ფულებს სისხლი აჩნევია. ფულები გადაეცა სასამართლოს.

*** ქსნის ხეობა.** ხალხის გაღატაკება ჩარჩებისაგან. განა ბევრი მოეპოვება ჩვენს საქართველოს ამ ხეობის ბადალი! მოენებით უხვად შეზავებული გაქლინთული ძალით იგი მზათ იყო და ეხლაც მზათ არის მიეგებოს აღზნებული მადით ბევრ ხელ-მოსაცემ წარმოებას. რას ისურვებენ, რომ ამის უხვი სიცოცხლით მორთულვარე სივრცეზე აღივლეს? მევენახეობა, მებაღობა, მეფუტკრეობა, ხვნა-თესვა თუ მეცხვარეობა ყველა ამათვის ეს ხეობა ხომ სრული ზედ გამოჭრილია!.. მაგრამ ზოგი მათგანი ან სულ არ არის ხალხის ხელობად, ზოგიც თუმცა არის, როგორც მაგ. მევენახობა, ხვნა-თესვა და მეცხვარეობა, მაგრამ ისე სუსტად აგებულია, ისეთ დახავსებულ მამა-პაპურ წეს-რიგზე, რომ ამ ხეობას მარტო სირცხვილად-ღა ეხიჩრება; ასეა თუ ისე, მაინც მევენახობა, ხვნა-თესვა და მეცხვარეობა არის უმეტეს ხელობად. ერთმანერთზე რომ ვსთქვათ, ქსნის ხეობა იძლევა 20,000 კოდ პურ-ქერს, 5,000 კოკა ღვინოს და 4,000 ფუთ მატყლსა, ყველი, ერბო და სხვა წვრილმანი კიდევ სხვა არის. მაგრამ რჩება რამე საწყალ გლეხს? [illegible] სარგებელს მაინც გაისტუმრებენ, ვაჭარს მაინც დააკმაყოფილებენ, რომელსაც არც ერთი გლეხი არ ასცდენია ჩაუბოჭავი თუ კი ცოტა სიქლი[ნე] შეუმჩნევია...

მერე ბევრის ფული და სხვა მრავალი მოთხოვნილება?—იკითხავს მკითხველი. ვაი ამ მიცემას. მათრახისაგან გამწვავებული, აბ[...]რებული კანით საწყალი გლ[ეხი] დალასლასებს აქეთ-იქით, ითხ[ოვს] შველას, მაგრამ სად არის შველ[ა]. მოჰგლეჯენ ბეჩავ გლეხ-კაცს უ[კა]ნასკნელს „ნიკორას" ან „შვი[...]დას" და მიბებრებულს პატრონს კიდევ მუქარით გაისტუმრებენ... ასე ამგვარად დღითი-დღე სუსტდება ჩვენი გლეხი, იშრიტება ჩვენი მხარე და ლამის არის ბოშებ[ის] მზგავსად დაიწყონ ხეტიალი... ყველა მხრიდან მოთხოვნილება, შემოსავალი კი არსაიდან და თუ რამეა, არ იცის რაზე ეგლიჯება ხელიდან. ვინა ჰყავს ამ დროს ჩვენ გლეხს პატრონად? არავინ და ამიტომაც არის ეს უთავბოლობა.

აქ დაინახავთ ერთის მხრივ ჩარჩს მგლეჯავს, მეორეს მხრივ გლეხსა ამ უბრყვილო კრავს, ერთის მხრივ დაქიშპებულ, ყურ-დაცქვეტილ გაიძვერა „კარტუზიანებს", მეორეს მხრივ უვიც, თავბრუ-დახვეულ[...] დარეტიანებულ, ძონძებში გა[...]ვეულს ისევ გლეხსა და გლეხსა!..

დრო მოხვდოს ამ ხეობას გულ[...] შემატკივარმა მადლით მოსულმა თვალმა და მამობრივი, მტკივნეულის ხმით ხალხში უკეთესის რწმენა აღძრას და სულით და ნივთიერად დავარდნილი ხალხი სწავლა-განათლების შემწეობით აღადგინოს, გაამხნევოს და გაამაგროს.

ახალგორელი მ.

*** დ. ლანჩხუთი.** ბაზრის უწესრიგობა. თითქმის ათი დ[ღე] იქნება, რაც ლანჩხუთის ბაზარ[ზე] ახალი დეპუტატი დააყენეს და მა[ს] შემდეგ მეპურეები სულ ცომ-პურს აცხობენ, იმასაც შაურათ ჰყიდი[ან] გირვანქას, და თუ სხვა მეპურე[ს] პური არ დაურჩა, მაშინ კი 8 კაპიკადაც გაჰყიდიან. სწორედ გასაკვირია, რატომ მეპურეებისთვის არ სუფევს ნიხრი. ნავთი ხომ გაძვირეს და გააძვირეს, გირვანქა 8 კაპიკია, თუმცა ნავთის ფასმა საზოგადოდ მოიმატა, მაგრამ [...]დენად კი არა. ყოველსავე ამ უწ[ეს]რიგობას ზედ ერთვის ბაზრის ს[ი]ბინძურე: უცხო კაცს ეს ბაზარი ცხენების თავლა ეგონება. ჰქონის ახლო ისეთი ტალახი დგას, რომ მგზავრს საფიქრელად შეექნება მაზედ გასვლა. ეს კიდევ არაფერი, ტალახში რომ დაისვარო, შეგიძლია გაწმინდო, მაგრამ იმ უზარმაზარ ქვებზე კი, რომლებიც ქუჩებზე ჰყრია, ადვილად დაიმტვრევთ წვივებს უსინათლო ღამეში. იქნებ იკითხოთ, ნუ თუ ფარნები არ არის ქუჩებზეო; ფარნები არა და ბოძები კი გახლავთ, მ[...]

...ხომ ელექტრონი არ არის, რომ თავის-თავად გაანათოს? ახლა გიამბობთ, რას სჩადიან აქაურნი ბიჭ-ბუჭები: როცა ორ ჭიქა ღვინოს დალევენ გამოდიან ბაზარში ჰყვირიან, ჩხუბობენ, რევოლვერს ისვრიან და ძილს არ აცლიან მცხოვრებთ. ძილის გაფრთხობას კიდევ ვინ ჩივის იმისი უფრო გვეშინიან, რომ ლოგინში გახურებული ტყვია არ დაგვანარცხონ.

მიკვირს, რატომ არ უშლიან ამ ვაჟბატონებს ასეთ თავგასულობას, მაგრამ ან კი ვინ უნდა დაუშალოს?! ღამის დარაჯები არსად სჩანან. დროა, ახალმა დეპუტატმა გამოიღვიძოს და უკეთესი წესიერება დაამყაროს ბაზარში. დააყენოს ახალი დარაჯები და ეს ძილის მოყვარე დარაჯები კი, თუ საჭირო იქნება, დღის დარაჯებათ გარდიქმნას, თუ არა და სულაც დაითხოვოს.

ეშხა კინტრაძე

*** **ს. ბასილეთი** (გურია). სამრევლო სკოლის საქმე. ადგილობრივი სამრევლო სკოლის საქმე, რომელიც ბლაღოჩინმა ნ. რამიშვილმა დაიწყო, კარგად მიდის. რადგან სკოლისთვის ალაგი არა ჰქონდა მრევლს, ამის გამო ბ-ნმა კირილე კოპლატაძემ შესწირა სკოლას ეკლესიის მახლობლად თავის მამულიდან საუკეთესო ალაგი, რომელიც სკოლას დაუჭირდებოდა. ვისურვებთ სკოლის მალე აყვავებას და სწავლის აღორძინებას. დიდის მადლობის ღირსნი არიან მ. ბლაღოჩინი—სკოლის მზრუნველობისათვის და ბ-ნი კოპლატაძე—უსასყიდლოდ ალაგის დათმობისათვის.

წიწა

*** **ერკეთის საზოგადოება** (გურია) აქაური ავ-კარგი. ერკეთის სიზოგადოება მდებარეობს ოზურგეთის მაზრაში მისი საზღვრები: აღმოსავლეთით საკრების საზოგადოება, დასავლეთით ჯვარ-ცმის საზოგადოება, ჩრდილოეთით ნანეიშვილის სეულის და ფარცხმის საზოგადოებები და სამხრეთით აჭარა გურიის მთის გორები. ეს საზოგადოება თავის მეზობელ საზოგადოებებზედ სიდიდითაც და მცხოვრებთა რიცხვითაც მეტია. უმეტეს ნაწილს მცხოვრებთა რიცხვისას შეადგენს გლეხკაცობა, უმცირესს კი აზნაურობა, მხოლოდ თავადების ჭაჭიც კი არ მოიპოვება ამ საზოგადოებაში. შვაში ჩამოუვლის მდ. სუფსა, რომელიც ჰყოფს ერკეთის საზოგადოებას ორ უმთავრეს ნაწილად: სუფსას გაღმა ერკეთი და სუფსას გამოღმა. სუფსას გაღმელები ესე იგი მცხოვრებნი სამხრეთის ნაწილისაკენ არიან შრო-... და ბევრი ქეიფის და მხიარუ-... ყვარენი სასოფლო სასამართლოს მახლობლად ათიოდე დუქნები. აქ ვერ ნახავთ ისეთ დღეს ახალგაზდა რაინდების თავყრილობა არ იყოს. მაგრამ რის თავ-ყრილობა არ იკითხავთ ბ—ნო მკითხველებო? რის და ლაზღანდარობის თავ-ყრილობა. შეგროვდებიან ერთად ამ კუთხის რაინდები, როგორც ზევით ვთქვით ისთე და თამაშობენ ბანქოს, ნარდს, ქეიფობენ ღვინით და სხვა-და-სხვა გვარად ატარებენ დროს ამ გვარი თავშესაქცევებით. ერთი სიტყვით აქ ვინც ბანქოს კარგად თამაშობს იმას პირველი ალაგი უჭირავს, ვინც კარგი მწყერობა იცის იმას მეორე და ვინც კარგი ღვინის სმა იმას კი მესამე, ეს არის და ეს მათი მეცადინეობა, ყოველ დღე ჩხუბი მოხდება იქ ამ სამი ჩვეულობის წყალობით. ცრუ მორწმუნეობა ხომ იმათ ხელს არის, აი უბრალო მაგალითად ავიღოთ ერთი შემთხვევა: ამას წინედ ამ კუთხის მცხოვრები ერთი გლეხის ცოლი ნაავათმყოფარზე ჭკუაზედ შეირყა. გლეხმა იცოდა, რომ მკვიდრთა ჭკუა შესწევდა და ამისთვის დააგდო ხმა, რომ ჩემი ცოლი ქადაგად დაეცა და ვისაც გსურთ მოდით და გირჩევსთ მიცვალებულების ამბავსაო. რასაკვირველია, იმავ წამს დაეხვიენ ხალხი ბუზსავით. ზოგს ქათამი მოჰყავდა, ზოგს ყველი და კვერცხი მოჰქონდა, და ზოგი ფულსაც აძლევდა, ოღონდ კი მიცვალებულის ამბავი ეამბნა განა დასაჯერებელია ასეთი ცრუ-მორწუნეობა მკითხველნო? ვინ მოსწრებია, ვის უნახავს საიქიოდგან კაცი დაბრუნებულიყოს და ამბავი მოეტანოს? არავის და არაოდეს. რისი ბრალია ყველა ესენი მკითხველო? რისი და უსწავლელობის. წარმოიდგინეთ ბ. მკითხველო, რომ ასეთ დიდ საზოგადოებაში ერთი სამკითხველოც არ მოიპოვება. აქ არის ერთად ერთი სკოლა, ჯერ, არაფერი სჩანს მაგრამ შემდეგისთვის ვიმედოვნებთ, რომ მოიკეთებს. სწავლა-განათლება სუფსას გამოღმელები ესე იგი მცხოვრებლები ამ საზოგადოების ჩრდილოეთისაკენ, გაღმელების შედარებით უფრო შრომის მოყვარენი არიან თუმც სწავლა-განათლებით ბევრით ვერ სჯობნიან ჯერ-ჯერობით. აქ ერთი სამრევლო სკოლაა, რომელიც ეხლა ბ. ს. ხ—ძის თანამშრომლობით კარგს ნიადაგზეა, და მომავალისთვის ვიმედოვნებთ შესაფერ ნაყოფს გამოიღებს ახალ მოზარდეთათვის, რადგან მასწავლებელიც შესაფერია და მოსწავლეებიც ბეჯითად სწავლობენ. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ერკეთის საზოგადოება ბევრს მისს მეზობელს საზოგადოებებზედ დაქვეითებულია, მაგრამ იმედია აწი მაინც გამოფხიზლდებიან და სწავლა-განათლებას ჩაებღაუჭებიან.

ბენიამენ სუფსისპირელი

*** **სოფ. ნინოწმინდა.** ტყის დარაჯთა თავგასულობა. ნინოწმინდელებს მოსვენება არა აქვთ ადგილობრივ ტყის დარაჯებისაგან. ეს ვაჟბატონები ჩაიგდებენ ხოლმე უმწეს გლეხებს ხელში და სრულიად უმიზეზოდ ათასგვარ შეურაცხებას აყენებენ. ამას წინად, მაგალ. ერთ ამ ვაჟბატონთაგანს დაეჭირა ტყეში ერთი გლეხი, რომელსაც ფიჩხი მოჰქონდა, და არ ანებებდა ფიჩხს,—ვითომ იმიტომ, რომ გლეხს ბილეთი არ მიეცა მისთვის, აღმოჩნდა, რომ ნამდვილი მიზეზი ტყის დარაჯის აღნიშნულ საქციელისა იყო მხოლოდ ის გარემოება, რომ ეს ვაჟბატონი ღვინოს დასესხებოდა ხსენებულს გლეხს და უკანასკნელს-კი უარი ეთქვა ღვინის სესხებაზე, თორემ ბილეთის უქონლობას ამ შემთხვევაში არავათარი ადგილი არა ჰქონოდა. ასეთი და ამაზე უარესი მაგალითები ხშირია აქაურ ტყის დარაჯისაგან.

## საოჯახო ცოდნა.

### ბავშვების აღზრდა ოჯახში

«მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა» (ეფეს. 6, 4).

(საუბარი, წარმოთქმული ქაშვეთის ტაძარში 22 ნოემბერს 1898 წ.)

(შემდეგი *)

აღზრდამ უნდა მოამზადოს ბავშვი ცხოვრებისათვის. ბავშვმა, როგორც მომავალმა წევრმა ეკლესიისა და საზოგადოებისამ, უნდა შეისწავლოს, შეიგნოს თვისნი მოვალეობანი ღვთისა, მოყვსისა და თვის თავის მიმართ. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა არის ადამიანი და რაში მდგომარეობს მისი ჭეშმარიტი დანიშნულება. თუ ამ ორი საკითხის ახსნა არა აქვსთ გათვალისწინებული მშობლებს და აღმზრდელებს, მაშინ მათ არ ეცოდინებათ აღზრდის ჭეშმარიტი მიზანი და ამის გამო მათი აღზრდა იქნება უთავბოლო და გზა დაბნეული... რას იტყვით იმ კაცის შესახებ, რომელიც რომელსამე შენობას აკეთებს და ის-კი არ იცის, რას აშენებს: ორ-სართულიანს სახლს, თუ ერთ-სართულიანს, სამზარეულოს, თუ სასტუმროს, ალაყაფის კარებს, თუ სიძველთ საცავს... იტყვით, რომ მას თვისი საქმე არ სცოდნია, თვისი ხელობის არაფერი გაეგება. ყოველმა ხელოსანმა იცის, თუ რას აკეთებს და როგორ უნდა გააკეთოს. თუ იმის ცოდნა, რაც უნდა გაკეთებულ იქმნეს და როგორ უნდა გაკეთებულ იქმნეს, საჭიროა თითოეულის ხელოსნისთვის, მით უმეტეს ცოდნა ამისი საჭიროა მშობლებისა და აღმზრდელებისთვის, რომელნიც ზრდიან სახელმწიფოს და ეკლესიის მომავალს წევრს. ჩვენ ყველანი ვუჩივით უბედურებათა, ნაკლულევანებათა და სიღარიბეს, ჩვენ სულის სიღრმემდის გვაღელვებს გარყვნილება, ლოთობა და სხვა მომაკვდინებელი ბიწიერებანი, რომელნიც ძირს უთხრიან ჩვენის საზოგადოების კეთილდღეობას. ვუჩივით ბავშვების ურჩობას, ცოლ-ქმური კავშირის შელახვა-შეგინებას, სნეულებას, უდროვო სიკვდილს, სატირალს დაქვეითებას და სიწამხდრეს ჩვენთვის ძვირფას პირებისას. ჩვენ ყველა ამას ვუჩივით.—სხვა-და-სხვა მიზეზებს ვძებნით მათ ასახსნელად, ვძებნით სხვა-და-სხვა საშუალებათა საზოგადობის ზნეობის აღსამაღლებლად, მაგრამ გვავიწყდება ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ყველა ამის წარმომშობი მიზეზი—ცუდი აღზრდაა, აღზრდა, რომელიც არ ეთანხმების წმ. ეკლესიას და მის მოძღვრებას. წმ. ეკლესია გადმოგვცემს ჩვენ ჭეშმარიტს სწავლას ადამიანის და მის დანიშნულების შესახებ. ადამიანი, როგორც გვასწავლის წმ. ეკლესია, შექმნილ იქმნა ღვთის ხატად და მზგავსად; მას აქვს გონიერი და თავისუფალი სული, და, მას აქვს სხეული, ის გრძნობს, ჰაზროვნობს და ლაპარაკობს (მეტყველებს). ღვთის სჯულის დარღვევის გამო სამოთხეში მას მოაკლდა ნეტარი ცხოვრება, მიეცა ტანჯვასა და სიკვდილსა. ცოდვამ განაშორა პირველი კაცი სამოთხესა, ამ თვისს პირველს სამშობლოს, და მისცა ბინა მას ამ ქვეყნად, უცხო მხარეს, რომელსაც ჰქვია ღელვ გლოვისა და ტყვეობის ქვეყანა... უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს შეეცოდა, შეებრალა მტირალი, ეკლოვანს გზაზედ მსვლელი კაცთა ნათესავი და თვის ნებით მიიღო, აღიხვნა მისი ცოდვები, მისთვის ჯვარს ეცვა და ამით დაიხსნა ტანჯული ადამიანი ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან. იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ სულმან წმიდამან განაახლა ადამიანი..: ადამიანს სული წმიდის მადლის შეწევნით, უკეთუ თვით სურს საუკეთესო ზნეობითი ცხოვრება, შეუძლია [illegible]ჩიოს ზნეობითს სისრულეს. მაგრამ უკეთუ ადამიანი თვით არ [illegible]ლტვის ზნეობითს სისრულეს, დაახშავს თვის შორის სვინიდისის ხმას და მხილებას და განშორდება მას საღმრთო მადლი, ის, ღვთის ხატად შექმნილი, შე[illegible] იძლევა პირუტყვებს დაედარო[illegible]

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 688.

როგორც ბრძანებს წმ: დავით ფსალმუნთამგალობელი: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა ჰყო: ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგნურთა და ემსგავსა მათ“. სანამ კაცი სამოთხეში იყო, მისი სული ბატონობდა, ბრძანებლობდა სხეულზედ, სხეული მისი კი მორჩილებდა სულსა... მაგრამ გაჩნდა თუ არა ცოდვა, რომელმაც განხწნა სული, სხეულიც გაუდგა სულის მორჩილებას, დაუწყო მას ფიცხელი ბრძოლა, რომელიც აქამომდე მომდინარეობს. საღმრთო მადლი, რომელიც მიეცემის კაცს წმ. საიდუმლოთა შემწეობით, შველის მას ებრძოლოს ხორციელ ჰნებათა და გულის თქმათა, და დასძლიოს იგინი. ადამიანი დედამიწის მეფეა; იმის შესახებ აი რას ამბობს წმ დავით ფსალმუნთა მგალობელი: „დააკლე იგი მცირედ რამე ანგელოსთა; დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ იგი და დაადგინე იგი ზედა ქმნულთა ხელთა შენთასა და ყოველივე დაუმორჩილე მას“ (ფსალ. 8.)... სულით ის ახლოა ღმერთთან და სხეულით კი ქვეყნიურ ქმნილებასთან. აი რას ამბობს ადამიანის შესახებ წმ. გრიგოლ ღვთის მეტყველი: „იყო დრო, როდეს ღმერთმა—სიტყვამ (ძემ ღვთისამ) დაამყარა ქვეყანა, მან ბრძანა,—და შესრულდა ყოველივე ის, რაც მას ნებავდა. მაგრამ როდესაც ყველა ამან, მიწამ, ცამ და ზღვამ—შეადგინა ეს ქვეყანა,—საჭირო შეიქმნა მჭვრეტი ამ სიბრძნისა,—რომელიც დედაა ყოველივესი, საჭირო შეიქმნა კეთილმსახური მეფე ქვეყნიერი... მაშინ შექმნა მან ანგელოსნი... მიწაზე გაჩნდა უგუნური ცხოველები. მაშინ ბრძანა ღმერთმა, მნებავს მე შევქმნა ისეთი ქმნილება, რომელიც იყოს შემაერთებელი უკვდავ და მომაკვდავ ქმნილებათა, მსურს შევქმნა გონიერი ადამიანი, რომელიც ჩემის ქმნულის მიმართ იხარებდეს, იყოს ბრძენი მესაიდუმლეცისა და დიდი მბრძანებელი ქვეყნისა, ახალი ანგელოსი მიწიდამ შექმნილი, მადიდებელი ჩემის ძლიერებისა და ჩვენისა“.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

---

ყურმოკრული საუბარი

მოხერხებული წარწერა. ერთმა მდიდარმა კაცმა მიაწება თავის ბაღის ჭიშკარზე ფიცარი შემდეგ-წარწერით: „ვუჩუქებ ამ ბაღს იმას, ვინც კმაყოფილია თავისი ბედისა“. ბევრმა წაიკითხა ეს წარწერა, მაგრამ [illegible] არ სთვლიდა თავისს თავს კმაყოფილად. მხოლოდ ერთ კაცს მოუნდა ამ ბაღის შოვნა, მივიდა პატრონთან და უთხრა:

— მე კმაყოფილი ვარ ჩემი ბედისა, მომეცი ეს ბაღი.

— შენ რომ ბედის კმაყოფილი იყო, არც ბაღსა მთხოვდით,—უთხრა ბაღის პატრონმა.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ნოემბერი

**ხარკოვი.** აქ გამომჟღავნდა საიდუმლო მკვლელობა. ქალაქის განაპირას ვასილიევის სახლის ეზოში, ჰაში იპოვნეს ნოქარის ჩერნიშოვის გვამი. ჩერნიშოვს თავის ქალა ჰქონია დაშავებული. მკვლელს ფულისა და ნივთებისთვის ხელი არ უხლია.

**პარიზი.** ანტისემიტთა კრების გათავების შემდეგ ნაციონალისტები, დერულედის წინამძღოლობით გაემგზავრნენ ბაკის ქუჩისაკენ, სადაც რევიზიის მომხრენი იყვნენ შეკრებილნი ერთს დარბაზში. დარბაზში შეკრებილთ გამოსვლა მოიწადინეს და ამ დროს დიდი ჩხუბი ასტყდა, დარბაზში ორჯერ გაისმა რევოლვერის ხმა. პოლიცია საჩქაროდ შევიდა დარბაზში და ერთი დაჭრილი კაცი გამოიყვანა. ერთი პოლიციელიც არის დაჭრილი კისერში. ორი სხვა პოლიციელი ჩხუბის დროს დაშავდა.

**რომი.** პალატა. როდესაც განხილულ იქმნა საგანი ერთის მილიონის ლირის სესხად აღების შესახებ კრიტის დროებით მართვის ხარჯად, კანოვერომ განაცხადა, რომ კანონ-პროექტს ხმელთაშუა ზღვაში იტალიის ინტერესების დაცვა აქვს აზრადაო. შეცდომით ამტკიცებენ, ვითომ ეს კანონ-პროექტი იტალიის მხოლოდ საოცნებო გამარჯვება იყოს, ხოლო ნამდვილად კი იგი რუსეთის გამარჯვებას აღნიშნავდეს. საქმე ის არის, რომ აქ გაიმარჯვა ცივილიზაციამ, რომელსაც წარმოადგენენ ოთხი მფარველი დიდი სახელმწიფო, სრულიად თანხმად და ყოვლად პატიოსნად მომქმედნი. მართალია, ბატონიშვილის გიორგის კანდიდატობა რუსეთმა წამოაყენა წინ, მაგრამ ამ წინადადებას გულ-წრფელად მიემხრნენ დანარჩენი დიდნი სახელმწიფონი, რომელთაც აღიარეს, რომ ამ საკანდიდატოს მოიწონებენ მიდაკუნძულის ქრისტიანენი და დიდთა სახელმწიფოთაც მხოლოდ ესა ჰქონდათ საგნად. გარწმუნებთ, სთქვა ბოლოს კანოვერომ, რომ არც კრიტისა და არც სხვა საქმეში იტალია არ განდგომია სამთა კავშირსაო.

**ვაშინგტონი.** თავისს მიწერილობაში მაკ-კინლეი შეეხება შეერთებულ შტატების მუდმივ ჯარის გაუქმების საქმეს და ამბობს: ეს ჯარი ისე მცირეა იმ დიდ სახელმწიფოთა ჯარების შედარებით, რომელთაც რუსეთის იმპერატორმა მიჰმართა თავისის მოწოდებით—რომ ამ საგანს შეერთებულ შტატებისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვსო. ყოველ შემთხვევაში რუსეთის იმპერატორის წინადადება კარგი ნიშანია ერთაშორის დამოკიდებულების განკარგულებისათვის, ამ აზრისა გამო შეერთებული შტატები უნდა მიემხრონ ზემოხსენებულს წინადადებასაო.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეის ეპისტოლეში ნათქვამია, რომ ახლად შეძენილ ადგილების მართვა-გამგეობის შესახებ სჯა გადიდვება იმ დრომდე, ვიდრე ზავის ხელ-შეკრულობა დამტკიცებული იქმნებაო. პრეზიდენტი ამტკიცებს—საჭიროა ყუბასთან აღებ-მიცემობა გავაძლიეროთ და დავახმაროთ დამოუკიდებელ მთავრობის დაარსებაში, რომ ამ კუნძულს შეეძლოს საერთა-შორისო მოვალეობის ასრულება და მცხოვრებთა შორის მშვიდობიანობის დამყარება. ეპისტოლეში სწერია აგრეთვე, [illegible] იქმნება დაარსდეს კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის პირობანი ჩინეთში. ეპისტოლეში ნათქვამია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებათ, რომელთა შემწეობით შეერთებულ შტატების ვალიუტა, როგორც ეხლა შემდეგშიაც უდრიდეს ჩვენს ვაჭრობაში, მეტოქე სახელმწიფოთა ვალიუტას. პრეზიდენტი ამტკიცებს აგრეთვე დიდად საჭიროა ჩვენთვის გაძლიერება სამუდამო ჯარისაო და ამბობს, მოსაწონია ლონგის წინადადება შესახებ იმისა, რომ გაკეთდეს 3 სამხედრო გემი და თორმეტი კრეისერი.

---

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება ღირსისა
ალექსის ღვთის კაცისა
(სურათით)
მეორედ გამოცემული
მორჩილის რ. ბარამიძის მიერ
ფასი ერთი შაური (10—1[illegible])

---

„НИВА“

Подписчики „НИВЫ“ получаютъ въ 1899 г.:

**52 №№** журнала „НИВА“ (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).

**12 ТОМОВЪ** ПОЛНАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ И. А. ГОНЧАРОВА, которое явится первымъ по полнотѣ содержанія (такъ какъ въ него войдутъ разсказы, не помѣщен. въ прежн. изданіяхъ, стоящихъ 13 руб. 50 коп.) и будетъ отпечатано на хорошей бѣлой глазированной бумагѣ.

Подписная цѣна „НИВЫ“

на годъ со всѣми приложеніями:

| | |
|---|---|
| Безъ доставки въ СПБ. 5 р. 50 к. Съ доставк. въ СПБ. 6 р. 50 к. Безъ доставки: 1) въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской—6 р. 25 к., 2) въ Одессѣ, въ книжн. магаз. „Образованіе“—6 р. 50 к. | Съ перес. во всѣ города и мѣстности Россіи 7 р. За границу 10 р. Разсрочка платежа въ 2 и 3 срока. |

Даетъ въ теченіе
однаго 1899 года
своимъ подписчикамъ
БЕЗПЛАТНО
полное собраніе сочиненій
Гончарова

**Содержаніе: томъ I.** Портретъ и факсимилэ И. А. Гончарова.—Біографическій очеркъ С. А Венгерова.—Лучше поздно, чѣмъ никогда. Критич. замѣтки.—Обыкновенная исторія. Ром. въ 2-хъ частяхъ. Ч. I. **Томъ II.** Обыкновенная исторія. Ром. въ 2-хъ ч. Ч. II. **Томъ III.** Обломовъ. Ром. въ 4-хъ ч. Ч. I и II. **Томъ IV.** Обломовъ. Ром. въ 4-хъ ч Ч. Ш и IV. **Томъ V.** Фрегатъ Паллада. Очерки путешествія, въ 2-хъ ч. Ч. I. Главы I—V. **Томъ VI.** Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. I. Гл. VI—VIII. Ч. II. Главы I—IV. **Томъ VII.** Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. II. Гл. V—IX. **Томъ VIII.** Обрывъ. Ром. въ 5-ти ч. Ч. I. и II. **Томъ IX.** Обрывъ. Ром. въ 5 ч. Ч. Ш. **Томъ X.** Обрывъ. Ром. въ 5 ч. Ч. IV и V. **Томъ XI.** Три очерка: I. Литературный вечеръ. II Мильонъ терзаній. Ш. Замѣтки о личности Бѣлинскаго.—Иванъ Савичъ Поджабринъ. Очеркъ. **Томъ XII.** Воспоминанія: I. Въ университетѣ. II. На родинѣ.—Слуги стараго вѣка. I. Валентинъ. II. Антонъ. III Степанъ съ семьей. IV. Матвѣй.—Очерки: Превратность судьбы. Май мѣсяцъ въ Петербургѣ.

**12 КНИГЪ** «Ежемѣсячныхъ литерат. приложеній» (романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя статьи и пр. современ. авторовъ).

**12 №№** «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ» [до 300 модныхъ гравюръ по послѣднимъ фасонамъ лучшихъ мастеровъ).

**12 №№** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ въ натуральную величину (около 600 рисунк. и чертеж ). СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ на 1899 г., печатан. красками.

**Иллюстрированное объявленіе высылается безплатно.**

Требованія адресовать въ Главную Контору журнала „НИВА“ С.-Петербургъ, Малая Морская, 22. (12—2)


[Доз]волено цензурою. Тифлисъ, 26 Ноября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ვუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი